,,დამტკიცებულია''

მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის

N01-01/03 გადაწყვეტილებით

დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩეველთა საბჭო აცხადებს ღია კონკურსს

1. თანამდებობის დასახელება: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორი;

2. კატეგორია: ხელმძღვანელი თანამდებობა;

3. სამუშაოს ადგილმდებარეობა: ქალაქი ბათუმი;

4. განაცხადების წარდგენის ვადა: 2019 წლის 25 აპრილიდან 2019 წლის 24 მაისის ჩათვლით;

5. განაცხადი მიიღება: ა) ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41, სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე: ბ) ელექტრონულ მისამართზე board@ajaratv.ge

6. საქმიანობის დაწყების თარიღი: დანიშვნის მომენტიდან;

7. საქმიანობის ვადა 3 წელი;

8. კონკურსში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს: საქართველოს მოქალაქე; საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი; მას უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილების, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლის და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო - პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება;

9. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

9.1. განცხადება;

9.2. პირადობის მოწმობის, პასპორტის ან ID ბარათის ასლი;

9.3. მაგისტრის ანდა მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

9.4. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ასლ(ებ)ი;

10. თანამდებობრივი სარგო (შორომის ანაზღაურება): 3300 ლარი;

11. ფუნქციები: დირექტორი ხელმძღვანელობს ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებით და დირექტორსა და მრჩეველთა საბჭოს შორის გაფორმებული შრომით ხელშეკრულებით, წარმართავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

12. კონკურსის ეტაპები: ა) განცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება;

13. გადაწყვეტილების მიღების ვადა: არა უგვიანეს 2019 წლის 4 ივნისისა;

14. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +99591989501

15. საკონტაქტო პირი: თამარ კეკელაშვილი;

შენიშვნა: 1. განაცხადის რეგისტრაციისთანავე დაინტერესებულ პირზე გაიცემა სარეგისტრაციო ფურცელი. 2. არასრულყოფილად დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე. 3. განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული დამოწმებული თარგმანი.